



საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

საქართველოს პარლამენტი

2-7805/19

25-04-2019

საორგანიზაციო დეპარტამენტს

მოგახსენებთ, რომ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მოისმინა საპარლამენტათაშორისო კავშირში (IPU) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის 2018 წლის ანგარიში.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ანგარიშს.

კომიტეტის თავმჯდომარე
სოფიო ქაცარავა



საქართველოს პარლამენტის
თ ა ვ მ ჯ დ ი მ ა რ ე

2-2512/19
19-02-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს

გიგზავნით საპარლამენტათაშორისო კავშირში (IPU) და საქართველოს პარლამენტის, მოლდოვას რესპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საპარლამენტათაშორისო ასამბლეაში, საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციების 2018 წლის ანგარიშებს.

დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით,

პარლამენტის თავმჯდომარე
ირაკლი კობახიძე

**საპარლამენტთაშორისო კავშირში (IPU)
საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის**

წლიური ანგარიში

პერიოდი: 2018 წლის იანვარი - 2019 წლის იანვარი

წლის სტატისტიკა:

- 2 ასამბლეაში მონაწილეობა;
- 1 ყოველწლიური საპარლამენტო მოსმენაში მონაწილეობა;
- 2 კონფერენციაში მონაწილეობა.

2018 წლის 21-23 თებერვალი

ნიუ-იორკი, აშშ. საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ ორგანიზებული ყოველწლიურ საპარლამენტო მოსმენა.

დელეგაციის შემადგელობა: გიორგი ვოლსკი; ირაკლი ბროკიშვილი.

ღონისძიების თემა: გლობალური თანხმობა უსაფრთხო, მოწესრიგებული და დარეგულირებული მიგრაციისთვის - საპარლამენტო პერსპექტივა.

ძირითადი აქტივობები:

- “გლობალური თანხმობა უსაფრთხო, მოწესრიგებული და დარეგულირებული მიგრაციისთვის” - დოკუმენტი, რომელსაც გაეროს წევრი ქვეყნები 2018 წლის ბოლოს, მაროკოში, მთავრობათაშორის კონფერენციაზე მიიღეს. ამ დოკუმენტის პირველად სამუშაო ვერსიაში წარმოდგენილი საკითხები განიხილეს საპარლამენტო ყოველწლიურ მოსმენაზე. აქტუალური იყო საკითხი, თუ რა პრინციპით ხდება მიგრანტისა თუ დევნილის სტატუსის მინიჭება;
- ვიზიტის განმავლობაში, გიორგი ვოლსკიმ შეხვედრები გამართა კოლეგებთან, ცალკეული ქვეყნებიდან. სხვა საკითხებთან ერთად, საუბარი საპარლამენტთაშორისო კავშირის მომავალ ასამბლეასაც შეეხებოდა.

2018 წლის 24-28 მარტი

ჟენევა, შვეიცარია; საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) რიგით 138-ე ასამბლეა

დელეგაციის შემადგენლობა: ირაკლი კობახიძე; მამუკა მდინარაძე; დავით მათიკაშვილი; ირაკლი მეზურნიშვილი; ზურაბ ჭიბერაშვილი; ნინო წილოსანი; გივი მიქანაძე; ნიკოლოზ სამხარაძე; თამარ ყოლბაია; ანა გოჩაშვილი; ირაკლი ბროკიშვილი; სერგო სარდლიშვილი.

ღონისძიების თემა: გლობალური რეჟიმის გაძლიერება მიგრანტებისა და ლტოლვილებისთვის: საფუძვლიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების საჭიროება

ძირითადი აქტივობები:

- ირაკლი კობახიძემ უმაღლესი ტრიბუნლიდან მიმართა ასამბლეას, რომელსაც 150-მდე ქვეყნის 800-მდე პარლამენტის წევრი, მათ შორის 70-მდე პარლამენტის თავმჯდომარე ესწრებოდა. მან მიგრაციისა და ლტოლვილთა საკითხების მიმართულეებით არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%, არაკანონიერად ჰყავს განთავსებული შეიარაღებული ძალები ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ხელს უწყობს საოკუპაციო რეჟიმის შენარჩუნებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და ამ საოკუპაციო რეჟიმის დახმარებით, გამუდმებით უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს - იტაცებს და აწამებს მშვიდობიან მოსახლეობას. ყურადღება

გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ ეს ყველაფერი ხდება გაეროს გენერალური ასამბლეის იმ დადგენილებების მიუხედავად, რომლებიც ადასტურებენ ძალისმიერი დემოგრაფიული ცვლილებების მიუღებლობას და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უფლებას, მშვიდობიანად და ღირსეულად დაბრუნდნენ სახლებში. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ იმ ეფექტურ მექანიზმებზეც ისაუბრა, რომელიც საქართველოს პარლამენტმა ამ მიმართულებით შეიმუშავა და რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის, ადამიანის უფლებების, სამოქალაქო უსაფრთხოებისა და მიგრანტთა და ლტოლვილთა ჯანმრთელობის დაცვის ადეკვატური სტანდარტების აღსრულებისათვის, ეფექტურ სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენენ;

- დებატები ასამბლეაზე 4 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ქართული დელეგაციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები განხილვებში თემის გარშემო.

სხვა აქტივობები:

- ასამბლეის ფარგლებში, ირაკლი კობახიძე საპარლამენტაშორისო კავშირის პრეზიდენტის, გაბრიელა კუევას ბარონის და გენერალური მდივნის, მარტინ ჩუნგონგის სახელით გამართულ მაღალი დონის სამუშაო სადილს დაესწრო, რომელსაც 70-მდე ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარე ესწრებოდა;
- საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია გაეროს შტაბ-ბინაში გამართულ ლიტვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მიღებას დაესწრო, რომელსაც ლიტვის სეიმის ვიცე-სპიკერი, გედიმინას კირკილასი მასპინძლობდა. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ;
- ასამბლეის მსვლელობის პარალელურად, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრები გამართა სხვადასხვა წევრი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციებთან, კერძოდ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ინდონეზიის და კატარის პარლამენტის თავმჯდომარეებთან, გერმანიის, მაროკოს, ტაილანდის, ჩინეთის, სურინამის და ვანუატუს პარლამენტების ვიცე-სპიკერებთან და ავსტრიის, იაპონიის და სინგაპურის ეროვნული დელეგაციების ხელმძღვანელებთან. შეხვედრებზე განიხილეს ორმხრივი საპარლამენტო ურთიერთობების გაძლიერების პერსპექტივები. რიგ ქვეყნებთან, ყურადღება ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკაზე გაკეთდა. ისაუბრეს გაეროში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა შესახებ რეზოლუციაზე, სადაც ხაზი გაესვა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მნიშვნელობას და როლს ამ საკითხის მოგვარებაში. შეხვედრებზე საუბარი შეეხო 2018 წლის ივლისში, თბილისში დაგეგმილი ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) სამიტს;
- პარლამენტების გენერალური მდივნების ასოციაციის (ASGP) შეხვედრები ტრადიციულად გაიმართა ასამბლეის პარალელურად. საქართველოს პარლამენტის აპარატის ახლადდანიშნული უფროსი გივი მიქანაძე, აქტიურად მონაწილეობდა ასოციაციის შეხვედრებში. მან კოლეგებთან სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის პარლამენტების აპარატებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან მიმართულებებზე და სამომავლო ურთიერთობების განვითარების გეგმებზე და პერსპექტივებზე ისაუბრა.

2018 წლის 14-18 ოქტომბერი

ჟენევა, შვეიცარია; საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) რიგით 139-ე ასამბლეა

დელეგაციის შემადგენლობა: გიორგი ვოლსკი, გიორგი ხატიძე, გივი მიქანაძე, ირაკლი ბროკიშვილი;

ლონისძიების თემა: პარლამენტის ხელმძღვანელობის როლი მშვიდობისა და განვითარების ხელშეწყობაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიური ცვლილებების ერაში

ძირითადი აქტივობები:

- გიორგი ვოლსკიმ უმაღლესი ტრიბუნიდან მიმართა ასამბლევას, რომელსაც 140-მდე ქვეყნის 750-მდე პარლამენტის წევრი, მათ შორის 55-მდე პარლამენტის თავმჯდომარე ესწრებოდა და საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების შესახებ არსებულ მიღწევებზე და გამოწვევებზე ისაუბრა. დებატები ასამბლეაზე 3 დღის განმავლობაში გრძელდებოდა, ქართული დელეგაციის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართულები განხილვებში თემის გარშემო.

სხვა აქტივობები:

- ასამბლეის ფარგლებში გაიმართა ახალგაზრდა პარლამენტართა ფორუმის შეხვედრა. შეხვედრაზე გიორგი ხატიძემ სიტყვით მიმართა მონაწილეებს და ახალგაზრდების პოლიტიკურ ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მან ფართო ფორმატში, კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს მზადყოფნას, 2020 წლის გაზაფხულზე უმასპინძლოს ახალგაზრდა პარლამენტართა მსოფლიო ფორუმს, რომელიც საპარლამენტთაშორისო კავშირის ეგიდით ტარდება;
- ასამბლეის ფარგლებში, ასევე, გაიმართა საპარლამენტთაშორისო კავშირისა და პარლამენტების გენერალური მდივნების ასოციაციის (ASGP) ერთობლივი შეხვედრა, რომელშიც საქართველოს პარლამენტის წევრმა, გიორგი ხატიძემ და აპარატის უფროსმა, გივი მიქანაძემ მიიღეს მონაწილეობა. შეხვედრაზე მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის თემაზე იმსჯელეს. გიორგი ხატიძემ თავის გამოსვლაში, საქართველოში საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად პარლამენტის ფუნქციის გაძლიერებასა და რეგლამენტში შესატანი ცვლილებების თაობაზე ისაუბრა. გივი მიქანაძემ შეხვედრაზე საპარლამენტო ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელების პროცესში ძლიერი აპარატის მნიშვნელოვან მიმართულებებზე ისაუბრა;
- საქართველოს დელეგაციამ ორმხრივი შეხვედრა გამართა საპარლამენტთაშორისო კავშირის გენერალურ მდივანთან, მარტინ ჩუნგონგთან. შეხვედრაზე ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ ისაუბრეს, მათ შორის საუბარი შეეხო ახალგაზრდა პარლამენტართა მსოფლიო ფორუმის 2020 წელს საქართველოში ჩატარების საკითხს;
- პარლამენტების გენერალური მდივნების ასოციაციის შეხვედრები (ASGP) ტრადიციულად გაიმართა ასამბლეის პარალელურად, რომელსაც მსოფლიოს 100-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტის აპარატის უფროსი ესწრებოდა. გივი მიქანაძე კოლეგების წინაშე პრეზენტაციით წარდგა და მათ ღია მმართველობის ფარგლებში საქართველოს პარლამენტში განხორციელებული რეფორმებისა და მიღწევების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. საუბარი შეეხო საპარლამენტო კონტროლისა და ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერების საკითხს. გივი მიქანაძემ ორმხრივი შეხვედრები გამართა ირანელ, თურქ, ტაილანდელ, სომეხ და უკრაინელ კოლეგებთან, ასევე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანს ვოიციხ სავიცკთან.

2018 წლის 3-5 დეკემბერი

ჟენევა, შვეიცარია; საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) მიერ ორგანიზებული მსოფლიოს რიგით მერვე e-პარლამენტის კონფერენცია

დელეგაციის შემადგელობა: გივი მიქანაძე

ლონისძიების თემა: პარლამენტები, ტექნოლოგიები და ინოვაცია

ძირითადი აქტივობები:

- კონფერენციის მუშაობაში 350-მდე დელეგატმა მიიღო მონაწილეობა. გივი მიქანაძე ლონისძიების ერთ-ერთ სამუშაო პანელზე, რომელიც პარლამენტების მიერ საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებას და ანგარიშვალდებულებას შეეხებოდა, მომხსენებლად იყო მიწვეული. მან თავის პრეზენტაციაში ამ მიმართულებით, ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში, საქართველოს მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ რეფორმებზე და პარლამენტის ღიაობაზე ისაუბრა.

2018 წლის 14-15 დეკემბერი

ბაქო, აზერბაიჯანი; საპარლამენტთაშორისო კავშირის (IPU) ახალგაზრდა პარლამენტართა რიგით მეხუთე გლობალური კონფერენცია

დელეგაციის შემადგელობა: გიორგი ხატიძე

ლონისძიების თემა: მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, მომავალი თაობის ინტერესების დაცვა

ძირითადი აქტივობები:

- კონფერენციაში, 45-მდე ქვეყნის 130-მდე პარლამენტის წევრმა მიიღო მონაწილეობა. გაიმართა დისკუსია გარემოს დაცვისა და განათლების სისტემების, საპარლამენტო ცხოვრებაში, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობებში ახალგაზრდების ჩართულობის შესახებ. გიორგი ხატიძემ თავის გამოსვლაში საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრა. თავის გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ახალგაზრდების ჩართულობის და მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა მოხდეს არამხოლოდ ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოებში და ინსტიტუციებში, არამედ ადგილობრივ თვითმმართველობების დონეზეც. კონფერენციის ბოლოს მიღებული იქნა შემაჯამებელი დოკუმენტი, სადაც შესაბამისი მოქმედებებია გაწერილი მომავალში ახალგაზრდა თაობის მეტი ჩართულობის უზრუნველყოფისთვის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობებში.

ირაკლი ბროკიშვილი
დელეგაციის მდივანი